თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილ იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო წლის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ექვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგები აღიარდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შესაძლო გასაყიდი ფასს გამოკლებული გაყიდვის დანახარჯები. მარაგების თვითღირებულება ფასდება საშუალო შეწონილი მეთოდით და მოიცავს მარაგების შესყიდვის ფასსა და მათ დანიშნულების ადგილზე მიტანისა და გამოყენებად მდგომარეობაში მოყვანის დანახარჯებს.

ყოველ საანგარიშო თარიღზე, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე. თუ მარაგები გაუფასურდა, საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასამდე, გამოკლებული სარეალიზაციო ხარჯები და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისაგან, დეპოზიტებისაგან და სხვა მოკლევადიანი მაღალ ლიკვიდური ინვესტიციებისაგან, რომელთა დაფარვაც მოსალოდნელია სამ თვეზე ნაკლებ ვადაში. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება საბალანსო ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს დამფუძნებლისგან გადმოცემულ გრძელვადიან აქტივს ან კოტრირუციას. კაპიტალში არაფულადი შენატანის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება აკუმულირებულ ზარალში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავალი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა.

ამონაგებს მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან კომპანია აღიარებს მომსახურების კონტროლის გადაცემისას მომხმარებელზე იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის გადაცემული მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონალური და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან: კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპზე, შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალურ მომსახურებებსა და სხვა პირდაპირ ხარჯებს.

ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;

ხელფასები და ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორებას, რაც დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილდება ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15% მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახდის, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც

წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადახდილ უნდა იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებიდან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძველებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების ცვეთის ნორმებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის ცვეთის ნორმების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჩვეულებრივ, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომის იდენტიფიცირება 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდის ნაშთების გადახედვა.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ცვლილებების ეფექტი 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე:

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალებები	3,514,824	2,122,668	5,637,492
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,358,378	(61,308)	4,297,070
მარაგები	1,322,267	1,592,013	2,914,280
გაუნაწილებელი მოგება	(9,266,320)	(3,643,300)	(12,909,620)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,998,484)	(10,073)	(2,008,557)
	(2,069,335)	-	(2,069,335)

ცვლილებების ეფექტი 2021 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაზე:

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	20,137,490	(68,818)	20,068,672
რეალიზაციის თვითღირებულება	(13,694,611)	(2,784,212)	(16,478,823)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,158,522)	(60,052)	(1,218,574)
სხვა შემოსავლები	3,161,997	6,556,382	9,718,379
	8,446,354	3,643,300	12,089,654

ცვლილებების ეფექტი 2021 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე:

	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	5,319,155	2,207,649	7,526,804
წმინდა ფულადი სახსრების გადიენება საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,452,615)	(2,207,649)	(3,660,265)
	3,866,540	-	3,866,539

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება					
1 იანვარი 2021	756,228	3,700	4,800	-	764,728
შემოსვლა	3,284,675	311,654	10,622	-	3,606,951
საწესდებო კაპიტალში შეტანა	1,812,216	61,374	-	32,500	1,906,090
2021 წლის 31 დეკემბერი	5,853,119	376,728	15,422	32,500	6,277,769
შემოსვლა	931,912	486,669	23,950	-	1,442,531
2022 წლის 31 დეკემბერი	6,785,031	863,397	39,372	32,500	7,720,300
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2021	(1,220)	(740)	(5)	-	(1,965)
პერიოდის ცვეთა	(601,661)	(33,092)	(2,070)	(1,490)	(638,312)
2021 წლის 31 დეკემბერი	(602,881)	(33,832)	(2,075)	(1,490)	(640,277)
პერიოდის ცვეთა	(1,093,377)	(142,908)	(5,661)	(1,551)	(1,243,496)
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,696,257)	(176,740)	(7,736)	(3,040)	(1,883,773)
საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2021	755,008	2,960	4,795	-	762,763
2021 წლის 31 დეკემბერი	5,250,238	342,896	13,347	31,010	5,637,492
2022 წლის 31 დეკემბერი	5,088,774	686,657	31,636	29,460	5,836,527

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები მოთხოვნები	1,502,557	3,684,911	-
მოთხოვნები სხვადასხვა ორგანიზაციებზე გაწეულ მომსახურებიდან	374,830	601,773	-
სხვა მოთხოვნები	32,328	10,386	-
გაუფასურების რეზერვი	(319,940)	-	-
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,589,775	4,297,070	-

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობის ანალიზი:

გაუფასურების ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
წლის დარიცხვა	(319,940)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	-
გაუფასურების ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(319,940)

8. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
მედიკამენტები	3,118,958	2,447,609	619,840
სამეურნეო საქონელი	548,414	460,747	13,853
საწვავი	8,301	5,924	11
სულ მარაგები	3,675,673	2,914,280	633,704

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6,675	-	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,637,200	4,723,584	863,348
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	952	1,279	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	4,644,827	4,724,863	863,348

ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 553,183 ლარი (2021: 177,393 ლარი).

10. საწესდებო კაპიტალი

2022 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალში არ ყოფილა ცვლილებები. 2021 წელს კომპანიის საწესდებო კაპიტალში შეტანილ იქნა 1,906,090 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის სამედიცინო აპარატურა - 1,812,216 ლარი; სატრანსპორტო საშუალებები - 32,500 ლარი; ოფისის აღჭურვილობა - 61,374 ლარი. მარაგები 678,172 ლარის ოდენობის, მათ შორის მედიკამენტები - 594,803; სამეურნეო საკანცელარიო საქონელი - 79,901; საწვავი - 3,469 ლარი. არამატერიალური აქტივები 74,400 ლარის ოდენობით.

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
გადასახდელი ხელფასები	521,158	412,133	-
სამედიცინო დანიშნულების და სხვა ინვენტარის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	366,893	1,380,359	1,242,407
კომუნალური მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	104,367	55,005	127
სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურება	42,643	144,261	-
სხვა ვალდებულებები	21,169	16,799	69
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,056,230	2,008,557	1,242,603

12. შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავალი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
სტაციონარული შემოსავლები	5,639,421	-
ამბულატორიული შემოსავლები	3,064,604	392,154
ახალი კორონავირუსის მართვა	3,389,885	18,827,578
სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ანაზღაურებული მკურნალობა	121,405	524,951
სხვა შემოსავლები	574,105	323,989
სულ შემოსავალი	12,789,420	20,068,672

13. რეალიზაციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
მედიკამენტები ხარჯი	5,879,673	9,151,809
სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურება	7,735,654	4,613,607
კომუნალური ხარჯები	1,013,522	885,930
ცვეთა და ამორტიზაცია	1,137,750	553,150
სამეურნეო ხარჯი	609,621	292,173
ლაბორატორიული კვლევების ხარჯი	221,262	449,203
კვების ხარჯი	102,414	400,975
სამედიცინო ტექნიკის შემოწმების ხარჯი	44,935	19,553
სხვა ხარჯები	136,009	112,423
სულ რეალიზაციის თვითღირებულება	16,880,840	16,478,823

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შრომის ანაზღაურება	1,006,414	799,343
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	319,940	-
ცვეთა და ამორტიზაცია	122,325	102,351
სერვისის და სხვა საკონსულტაციო ხარჯები	83,979	83,853
რემონტის და გაუმჯობესების ხარჯი	25,530	131,837
ტრანსპორტირება და ავტოსატრანსპორტო უზრუნველყოფა	16,864	9,816
ბანკისა და სხვა საკომისიო ხარჯები	15,955	1,264
კომუნიკაციის ხარჯი	11,206	6,538
ლიცენზიის ხარჯი	1,200	2,700
კომუნალური ხარჯი	903	852
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯები	180	9,152
დაცვის ხარჯი	-	26,365
საბაჟო გადასახადი	-	17,436
სხვა	91,178	27,067
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,695,674	1,218,574

15. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტები	3,699,131	6,669,839
უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები	-	2,136,902
ჩეხეთის საელჩოსგან მიღებული დაფინანსება	-	761,251
სახელმწიფოსგან მიღებული სუბსიდია	-	136,000
სხვა შემოსავლები	619,934	14,387
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,319,065	9,718,379

16. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნები არის რისკების ლიმიტების დადგენა და შემდგომ არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენის უზრუნველყოფა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

საკრედიტო რისკი

კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმწელების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საკრედიტო რისკი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
სავაჭრო მოთხოვნა, წმინდა	1,589,775	4,297,070	-
ფული და ფულის ეკვივალენტები			
მოთხოვნისას გადასახდელი საბანკო ბალანსები	4,644,827	4,724,863	863,348
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური საფრთხე	6,234,602	9,021,933	863,348

ფინანსური ვალდებულებები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,056,229	2,008,557	1,242,603
საგადასახადო ვალდებულებები	127,384	103,691	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,183,613	2,112,248	1,242,603

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი, რომ სამართლიანი ღირებულება ან ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადები იქნება არამყარი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიის საფრთხე რისკის მიმართ უპირველესად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მის სასესხო და საკრედიტო ვალდებულებებს.

ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საანგარიშგებო პერიოდების მიხედვით:

31 დეკემბერი 2022	ლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4,644,827	-
მოთხოვნები	1,589,775	-
სულ ფინანსური აქტივები	6,234,602	-
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,056,230	-
საგადასახადო ვალდებულებები	127,384	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,183,614	-
წმინდა პოზიცია	5,050,988	-

31 დეკემბერი 2021	ლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4,723,584	1,279
მოთხოვნები	4,297,070	-
სულ ფინანსური აქტივები	9,020,654	1,279
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,008,557	-
საგადასახადო ვალდებულებები	103,691	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,112,248	-
წმინდა პოზიცია	6,908,406	1,279

1 იანვარი 2021	ლარი
ფინანსური აქტივები	
ფული და ფულის ექვივალენტები	863,348
მოთხოვნები	-
სულ ფინანსური აქტივები	863,348
ფინანსური ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,242,603
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,242,603
წმინდა პოზიცია	(379,255)

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

15. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება და სუბიექტი დადგება ფინანსური სირთულის წინაშე. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით.

ხელმძღვანელობა კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური პროგნოზების მონიტორინგს ახორციელებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის და მდგომარეობით არის შემდეგი:

<i>31 დეკემბერი 2022</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4,644,827	-	4,644,827
მოთხოვნები	1,589,775	-	1,589,775
სულ ფინანსური აქტივები	6,234,602	-	6,234,602
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,056,230	-	1,056,230
საგადასახადო ვალდებულებები	127,384	-	127,384
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,183,614	-	1,183,614
სხვაობა	5,050,988	-	5,050,988

<i>31 დეკემბერი 2021</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4,724,863	-	4,724,863
მოთხოვნები	4,297,070	-	4,297,070
სულ ფინანსური აქტივები	9,021,933	-	9,021,933
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,008,557	-	2,008,557
საგადასახადო ვალდებულებები	103,691	-	103,691
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,112,248	-	2,112,248
სხვაობა	6,909,685	-	6,970,993

<i>1 იანვარი 2021</i>	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	863,348	-	863,348
მოთხოვნები	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	863,348	-	863,348
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,242,603	-	1,242,603
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,242,603	-	1,242,603
სხვაობა	(379,255)	-	(379,255)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ანგარიშგების მუხლი	ურთიერთობა	2022	2021
რეალიზაციის თვითღირებულება	საერთო მფლობელობის ქვეშ	-	54,695
შემოსავალი	საერთო მფლობელობის ქვეშ	-	470,330
სხვა შემოსავალი	წილის მმართველი	599,239	83,880
ანგარიშგების მუხლი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	საერთო მფლობელობის ქვეშ	232,422	470,330

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2022 და 2021 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში:

	2022	2021
ხელმძღვანელობის ხელფასი	84,462	46,237

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2023 წლის 31 მაისს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

1. შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს (ს/ნ 242435514) (შემდგომში კომპანიის) ძირითადი საქმიანობის სფეროა სამედიცინო მომსახურება, ამბულატორიული და სტაციონალური კომპონენტი.
2. კომპანია წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის ძირითადი საქმიანობის საგანია მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, სამკურნალო-ფუნქციონალური დიაგნოსტიკის, კლინიკურ-დიაგნოსტიკური გამოკვლევებისა და სამედიცინო პროფილაქტიკური ღონისძიებების კუთხით. აუდიტის პერიოდში (2022 წელი) კლინიკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიღებული ლიცენზიის ფარგლებში მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, და საქართველოს მთავრობის 2019 წლის N 674 დადგენილებით განსაზღვრული ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა, შესაბამისი საწოლფონდის მობილიზება, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ჯანდაცვის პროგრამებით გათვალისწინებული მედიკამენტების მიღება და განაწილება, ამავე პროგრამით გათვალისწინებული მოსახლეობის კოვიდსაწინააღმდეგო ვაქცინაციის ჩატარება.
3. საქართველოს მთავრობის 2019 წლის N 674 დადგენილებით დამტკიცებული დიალიზის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევა.

2. კომპანიის სადამფუძნებლო ინფორმაცია

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“ დაფუძნებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად 2000 წლის 10 აპრილს (საიდენტიფიკაციო ნომერი 245435514), რომლის დამფუძნებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით მისი წესდების შესაბამისად. კლინიკის 100 %-იანი წილის მფლობელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 09 სექტემბრის N 1973 ბრძანების საფუძველზე კომპანიის 100%-იანი წილი მართვაში გადაეცა ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს და ამ დღიდან კლინიკის წილის მმართველია ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი. კლინიკის იურიდიული მისამართია: პუშკინის ქუჩა 162/ტბელ აბუსერისძის გამზირი 2, ქ. ბათუმი, საქართველო. კლინიკის ოფისი განთავსებულია მის იურიდიულ მისამართზე.

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 მმართველობითი ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

3. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021 *გადაანგარიშებული	1 იანვარი 2021
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		5,836,527	5,637,492	762,763
არამატერიალური აქტივები		93,947	110,524	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,930,474	5,748,016	762,763
მიმდინარე აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,589,776	4,297,070	-
გადახდილი ავანსები		520,997	-	-
მარაგები		3,675,673	2,914,280	633,704
ფული და ფულის ეკვივალენტები		4,644,827	4,724,863	863,348
სულ მიმდინარე აქტივები		10,431,273	11,936,213	1,497,052
სულ აქტივები		16,361,747	17,684,229	2,259,815
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,662,361	2,662,361	3,700
გაუნაწილებელი მოგება		11,994,774	12,909,620	1,013,511
სულ კაპიტალი		14,657,135	15,571,981	1,017,211
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,056,229	2,008,557	1,242,603
გადავადებული შემოსავალი		520,997	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		127,387	103,691	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,704,610	2,112,248	1,242,603
სულ ვალდებულებები		1,704,610	2,112,248	1,242,603
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,361,747	17,684,229	2,259,814

შპს „ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“
 მმართველობითი ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნები	2022	2021 *გადაანგარიშებული
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	12,789,420	20,068,672
რეალიზაციის თვითღირებულება	(16,880,840)	(16,478,823)
საერთო მოგება	(4,091,420)	3,589,849
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,695,674)	(1,218,574)
სხვა შემოსავლები	4,319,065	9,718,379
სხვა ხარჯები	-	(365,915)
საოპერაციო მოგება	(1,468,029)	11,723,739
საპროცენტო შემოსავალი	553,183	177,393
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-	-
საკურსო სხვაობით მიღებული წმინდა ზარალი	(1)	(5,023)
მოგება დაბეგვრამდე	(914,847)	11,896,109
მოგების გადასახადი	-	-
წლის წმინდა მოგება	(914,847)	11,896,109
სხვა სრული შემოსავალი	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(914,847)	11,896,109

4. ადგილობრივი ადმინისტრაციული მართვა

ადმინისტრაციული მართვის ზოგადი ქმედებები კომპანიის ოფისის ყოველდღიური საქმიანობის წარმართვას და ადმინისტრირებას გულისხმობს. ამ მიმართულებით კომპანიაში წარმატებით მიმდინარეობს შიდა კონტროლის სისტემების დანერგვა, რაც არის საქმიანობის ეფექტურობისა და სანდოობის მაღალი დონის გარანტია.

კომპანიის განვითარების და პაციენტებზე გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით მუდმივად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ:

1. სამედიცინო პერსონალის (ექიმების, ექთნების, ლაბორატორიის თანამშრომლების) კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისთვის ზრუნვა. ტრენინგების ჩატარება როგორც ადგილზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში თანამშრომლების მივლინება სასწავლო ცენტრებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს.

2. აჭარის ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, გადაწყდება შენობების ეფექტურად გამოყენება, რაც მოგვცემს სამედიცინო, ტექნიკური და ფინანსური რესურსების უფრო ეფექტურად მართვის საშუალებას.

საწარმოს უშუალო ხელმძღვანელია დირექტორი. (იხ. სტრუქტურა)

[illegible]

5. კომპანიის განვითარების სტრატეგია

ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID 19) შემთხვევათა შემცირების კვალობაზე კლინიკის ხელმძღვანელობამ დაიწყო ზრუნვა მისი მრავალპროფილურ კლინიკად გადაკეთებისათვის. დღეისათვის მოპოვებულია ნებართვები და ლიცენზიები სამედიცინო მომსახურების ისეთ სახეებზე, როგორიცაა:

1. სტაციონალური პაციენტების მომსახურება (სანებართვო მოწმობა N 000026)
2. რენიშაცია (სანებართვო მოწმობა N000269)
3. რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000523)
4. რადიოლოგიური საქმიანობა-კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა (სანებართვო მოწმობა N 000524)
5. ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000424)
6. ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000425)
7. ლაბორატორიული საქმიანობა- იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000426)
8. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY)-II დონე (სანებართვო მოწმობა N 000618)
9. დიალიზი (სანებართვო მოწმობა N 000391)
10. ონკოლოგია (სანებართვო მოწმობა N 000733)
11. ქირურგიული პროფილის საქმიანობა (სანებართვო მოწმობა N 000614)
12. ნეიროქირურგია (სანებართვო მოწმობა N 000616)

შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური

საავადმყოფოს დირექტორი:

ს. ფუტყარაძე

5.

კომპანიის განვითარების სტრატეგია

ახალი კორონავირუსული დაავადების (COVID 19) შემთხვევათა შემცირების კვალობაზე კლინიკის ხელმძღვანელობამ დაიწყო ზრუნვა მისი მრავალპროფილურ კლინიკად გადაკეთებისათვის. დღეისათვის მოპოვებულია ნებართვები და ლიცენზიები სამედიცინო მომსახურების ისეთ სახეებზე, როგორიცაა:

1. სტაციონალური პაციენტების მომსახურება (სანებართვო მოწმობა N 000026)
2. რენიშაცია (სანებართვო მოწმობა N000269)
3. რადიოლოგიური საქმიანობა-რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000523)
4. რადიოლოგიური საქმიანობა-კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევა (სანებართვო მოწმობა N 000524)
5. ლაბორატორიული საქმიანობა-კლინიკური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000424)
6. ლაბორატორიული საქმიანობა-ბიოქიმიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000425)
7. ლაბორატორიული საქმიანობა- იმუნოლოგიური და სეროლოგიური დიაგნოსტიკა (სანებართვო მოწმობა N 000426)
8. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (EMERGENCY)-II დონე (სანებართვო მოწმობა N 000618)
9. დიალიზი (სანებართვო მოწმობა N 000391)
10. ონკოლოგია (სანებართვო მოწმობა N 000733)
11. ქირურგიული პროფილის საქმიანობა (სანებართვო მოწმობა N 000614)
12. ნეიროქირურგია (სანებართვო მოწმობა N 000616)

შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური

საავადმყოფოს დირექტორი:

ს. ფუტყარაძე

